

მიწების მელიორაციის შესახებ

კარი I

ზოგადი ნაწილი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების საგანი

ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მიწების მელიორაციის სფეროში.

მუხლი 2. კანონმდებლობის სისტემა მიწების მელიორაციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა მიწების მელიორაციის სფეროში ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

მიწების მელიორაციაზე;

სამელიორაციო ღონისძიებებზე;

გ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენებისაგან დაცვის ღონისძიებებზე.

მუხლი 4. კანონის ძირითადი მიზნები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

განსაზღვროს მიწების კომპლექსური მელიორაციის დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები, ხელი შეუწყოს ამ სფეროში სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) დააჩქაროს მიწების მელიორაციის პრიორიტეტული განვითარება, სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემების და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში რეფორმების განხორციელება.

მუხლი 5. ტერმინთა განმარტება

1. მიწების მელიორაცია - ჰიდრომელიორაციული, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, ქიმიური, აგროტექნიკური, სატყეო-სამელიორაციო, ნიადაგდაცვითი და სხვა სახის კომპლექსური ღონისძიებები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს გამოსაღებ მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებითა თვისებას, ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური, ქიმიური, წყალ-ჰაეროვანი თვისებების გაუმჯობესებას, ნაყოფიერების ამაღლებას და მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას.

2. ჰიდრომელიორაცია - სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემების დამატებითი მოწყობის და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მეშვეობით

წყლის რეგულირების კომპლექსური ღონისძიება, რომლის სახეებია: მორწყვა, დაშრობა, ორმხრივი რეგულირება, სამოვრების გაწყლვანება, აგრეთვე ეროზიის, მეწყერის, დვარცოვის, წყალმოვარდნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებები და სხვა.

3. კულტურ-ტექნიკა და რეკულტივაცია - მიწების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიება, რომლის სახეებია: ტყე-ბუჩქნარის ამოძირკვა, კორმების, ქვეებისა და სხვა ნარჩენებისაგან მიწის ნაკვეთის გაწმენდა, ნიადაგის პირველადი და მუშავება პლანტაჟი, გაფხვიერება, ფართობის მოშანდაკება ან სხვა სახის კულტურ-ტექნიკური და რეკულტივაციის სამუშაოები.

4. ქიმიური მელიორაცია - თაბაშირის, კირის, ტორფ-კომპოსტების, ბენტონიტური თიხების და სხვა ქიმიური მელიორანტების გამოყენებით ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური თვისებების გაუმჯობესება, ბიცობინია და გების აგრომელიორაციული და მუშავება.

5. სატყეო მელიორაცია - ქარსაფარი ზოლებისა და ტყის ნარგავების გაშენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ნიადაგების, წყალსატევების, ხეკვების და ხრამების ეროზიის, ქარისა და გამოშრობისაგან დაცვა და კლიმატურ-ჰიდროგეოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

6. მელიორირებული მიწები - მიწები, რომლებზე დაცხატარებულია სამელიორაციო ღონისძიებები.

7. სამელიორაციო მიწები - მიწები, რომელთა ათვისება, მადალინტენსიური სავარგულების კატეგორიაში გადაყვანა და ნაყოფიერების ამაღლება ხდება სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელებით.

8. სამელიორაციო ღონისძიებები - სამელიორაციოსისტემებისა და მოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია, სამოვრების გაწყლვანება, სატყეო მელიორაციის, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, ქიმიური, აგროტექნიკური, ნიადაგდაცვითი და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება, მათი მეცნიერული და საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფა.

9. სამელიორაციოსისტემა (სარწყავი, დაშრობი, ორმხრივი რეგულირების) - ურთიერთდაკავშირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მცენარისათვის ნიადაგში წყლის, ჰაერაციის, სითბურის ოპტიმალური რეჟიმის შექმნას და ნაყოფიერების ამაღლებას.

10. სარწყავისისტემა - წყალსაცავის, სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, მილსადენის, გამანაწილებელი და სხვადასხვა რიგის სარწყავი ქსელის, დრენაჟის, სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის, სატუმბისა დგურის, ჰაზურდილის, საექსპლუატაციო გზების, ხიდების, მილიდების ან სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც მცენარის ზრდა-განვითარების გარკვეულ ფაზაში, წყლის მოთხოვნილების მიხედვით, უზრუნველყოფს წყლის დაგროვებას, მიღებას, ტრანსპორტირებას და ფართობში განაწილებას.

11. დამშრობისისტემა - ჰორიზონტალური და ვერტიკალური დრენაჟის, სარეგულაციო და გამყვანილია არხის, წყალმიღების, მთისძირა არხის, დამბის, სატუმბის სადგურის ან სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც მცენარის ზრდა-განვითარების გარკვეულ ფაზაში, წყლის მოთხოვნილების მიხედვით, უზრუნველყოფს ჰარბი წყლების მოცილებას.

12. სამოვრების გაწყლვანებისისტემა - სათავე ნაგებობა, სატუმბისა დგური, მაგისტრალური მილსადენი, სარეგულაციო რეზერვუარი, გამანაწილებელი ქსელი ან სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის სარწყულუბლების, მეცხოველეობის ფერმების და სხვა ობიექტების სასამელ-სამეურნეო წყლით მომარაგებას.

13. მოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობა - საინჟინრო ნაგებობა, რომელიც არწარმოადგენს სამელიორაციოსისტემის შემადგენელ ნაწილს და მოუკიდებლად უზრუნველყოფს წყლის რეგულირებას, ეროზიის, მეწყერის, დვარცოვის, წყალმოვარდნის და წყალდიდობისაგან დაცვას.

14. პირველადი წყალმოსარგებლე – ლიცენზიატი, რომელსაც წყლის ობიექტი გადაცემული აქვს განკერძოებულსარგებლობაში და უზრუნველყოფს მის ექსპლუატაციას.

15. სახელმწიფოს აერთოსარგებლობის (დანაშნულების) სამელიორაციოსისტემა და დამოუკიდებელი რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა – სახელმწიფოსახსრებითა შენებული (მშენებარე) სარწყავი, დამშრობი, ორმხრივი რეგულირების, სამოვრების გაწყლოვანების სისტემების სათავე ნაგებობა, წყალსაცავი, მაგისტრალური არხი, მილადენი, წყალგამანაწილებელიან წყალმიღებ ნაგებობამდე მოწყობილი სხვადასხვა რიგის მარეგულირებელი, შემკრებ – საკოლექტორო და დრენაჟის ქსელი, სატუმბო სადგური, ფონტალური და რეჟიმული დაკვირვების ჭაბურღილები, აგრეთვე ეროზიის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნისა და წყალდიდობის საწინააღმდეგო რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობები, რომლებიც ემსახურება ორიან მეტი რაიონის, ან რაიონის ტერიტორიის დიდ ნაწილს (მასივის) ჰიდრომელიორაციას.

16. შიდასასოფლო-სამეურნეოსარგებლობის (დანაშნულების) სამელიორაციოქსელი, დამოუკიდებელი მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ლოკალური სისტემა – სახელმწიფოსამელიორაციოსისტემის წყალგამანაწილებელიან წყალმიღები ნაგებობის შემდეგ მოწყობილი სამელიორაციოქსელი, აგრეთვე ეროზიის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სატუმბო სადგური, მცირე მელიორაციის ჭაბურღილები და ლოკალური სისტემა, რომლებიც ემსახურება რაიონის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.

17. სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივი – "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მიწათმოსარგებლეთა წყალმომხმარებელთა) მიერ საერთო წილობრივ საკუთრებაზე და შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომლის ამოცანა არ არის უპირატესად მოგების მიღება და მისი ძირითადი ფუნქციაა მიწათმოსარგებლეთა (წყალმომხმარებელთა) ინტერესების დაცვა, შიდასასოფლო-სამეურნეოქსელის მოვლა – პატრონობა, წყალგამანაწილების წერტილში მიწოდებული წყლის მიღება – აღრიცხვა, მეკაიეთა შორის რაციონალურად განაწილება, არაწევრი წყალმომხმარებლების ხელშეკრულებით მომსახურება.

18. სარწყავი წყლის მიწოდების და დამშრობი სისტემების საპროექტო მომსახურების ტარიფები:

ა) საბითუმო ტარიფი – სახელმწიფოს სარწყავი, ორმხრივი რეგულირების და სამოვრების გაწყლოვანების სისტემებიდან სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივებისათვის და სხვა წყალმომხმარებლებისათვის მიწოდებული წყლის დასახელმწიფო დამშრობი სისტემებით ჭარბი წყლების მოცილების მომსახურების საპროექტო ღირებულება;

ბ) საცალო ტარიფი – საბითუმო ტარიფს დამატებული მიწათმოსარგებლეთა (წყალმომხმარებელთა) სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივის საერთო კრების მიერ დადგენილი კოოპერატივის შენახვის (გაწეული მომსახურების) ხარჯები.

კარი II

ძირითადი ნაწილი

თავი II

სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემების და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით სარგებლობის (გამოყენების) პირობები

მუხლი 6. სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემებით და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით სარგებლობა (გამოყენება)

სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემები და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები შეიძლება არსებობდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სახელმწიფოს საკუთრების შიდასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების სამელორაციო ქსელი, მარტივი ტიპის დამოუკიდებელი
ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სატუმბოსა და დგურების, მცირე მელიორაციის
ჭაბურღილები და ლოკალური სისტემები მათი დანიშნულების შენარჩუნების
პირობით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა სამელორაციო მომსახურების
კოოპერატივებს.

**მუხლი 7. ფიზიკურ და იურიდიული პირთა საკუთრების სამელორაციო სისტემების და
ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარგებლობის (გამოყენების) პირობები**

1. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ
საკუთრებაში არსებული სამელორაციო, სამოვრების გაწყლვანების
სისტემების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების დანიშნულებით გამოყენება,
მოვლა-ვატრონობა და დაცვა.
2. სატყეო მელიორაციის, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, კომიური,
ნიადაგდაცვითი, ეროზიის, მეწყერის, დვარცოფის, წყალმოვარდნისა და
წყალდიდობის საწინააღმდეგო და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების
ღონისძიებების, სამელორაციო და სამოვრების გაწყლვანების სისტემების
დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციის ხორციელდება
საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III

მიწების მელიორაციის ღონისძიებების დაფინანსება

მუხლი 8. სამელორაციო ღონისძიებების დაფინანსება

1. საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით მტკიცებს
სახელმწიფო საკუთრების საერთო სარგებლობის (დანიშნულების) სამელორაციო,
სამოვრების გაწყლვანების სისტემების და დამოუკიდებელი რთული
ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის მიზნობრივ
ხარჯებს.
2. სახელმწიფო საკუთრების შიდასასოფლო-სამეურნეო სარგებლობის
(დანიშნულების) სამელორაციო ქსელის, მარტივი ტიპის დამოუკიდებელი
ჰიდროტექნიკური ნაგებობების, სატუმბოსა და დგურების, მცირე მელიორაციის
ჭაბურღილების და ლოკალური სისტემების მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის,
აგრეთვე მიწების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების
დაფინანსება ხორციელდება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებით და
მიწათმოსარგებლე თაგან (წყალმომხმარებელთაგან) ამონაგები თანხებით.
ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან დაფინანსების ნორმებს განსაზღვრავენ
ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები.

**მუხლი 9. სახელმწიფო დანიშნულების სარწყავი, ორმხრივი რეგულირების და
გაწყლვანების სისტემებით**

მიწოდებული წყლის და დაშრობილი მიწების საჰექტარო მომსახურების ტარიფები
და გამოყენების წესი

1. სახელმწიფო საერთო სარგებლობის (დანიშნულების) სარწყავი, ორმხრივი
რეგულირების და სამოვრების გაწყლვანების სისტემებით შიდასასოფლო-
სამეურნეო ქსელისათვის და სხვა წყალმომხმარებლებისათვის წყლის
მიწოდება ზე და მშრობის სისტემებით საჰექტარო მომსახურება ზე
საქართველოში დადგენილია მომსახურების ტარიფები.
2. მომსახურების საბითუმო ტარიფით ამონაგები თანხა გამოიყენება
მიზნობრივად სახელმწიფო საერთო სარგებლობის (დანიშნულების) სამელორაციო,
სამოვრების გაწყლვანების სისტემების და დამოუკიდებელი რთული
ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯების
დასაფარავად.
3. სამელორაციო მომსახურების კოოპერატივების მიერ გაწეული მომსახურების
ხარჯების დაფარვა ხდება საცალო და საბითუმო ტარიფებს შორის სხვაობით
ამონაგები თანხებით.

მუხლი 10. მომსახურების ტარიფების დამდგენი ორგანოები

1. მომსახურების საბითუმო ტარიფი და მისი გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მომსახურების საცალო ტარიფს და მისი გამოყენების წესს ამტკიცებს სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივის საერთო კრება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IV

მიწების მელიორაციის სახელმწიფო მართვა

მუხლი 11. მიწების მელიორაციის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის უფლებამოსილებათა გამოიჯვნა მიწების მელიორაციის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის უფლებამოსილებათა გამოიჯვნის საფუძველია საკუთრების ფორმა, რომელიც რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 12. მიწების მელიორაციის სახელმწიფო მართვა და კონტროლი

მიწების მელიორაციის სფეროში სახელმწიფო მართვას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებს განეკუთვნება:

- ა) მიწების მელიორაციის სფეროში ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლი;
- ბ) მიწების მელიორაციის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სახელმწიფო პროგრამების დამუშავება, ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ნორმების, წესების დამუშავება, დამტკიცება, მათი რეალიზაცია და კონტროლი;
- გ) სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, ნიადაგდაცვითი, ქიმიური მელიორაციის, ეროზიის, მეწყერის, დვარცოფის, წყალმოვარდნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის სახელმწიფო მართვა, რეგულირება და საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- დ) სარწყავი, ორმხრივი რეგულირების და სამოვრების გაწყლოვანების სისტემებით წყლის მოხმარების ლიმიტების განსაზღვრა, განაწილება და მართვა-რეგულირება;
- ე) სახელმწიფო დანიშნულების საირიგაციო წყალსაცავების ექსპლუატაცია, მათი ტექნიკური მდგომარეობის და კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა ორგანიზაცია, კოორდინაცია და მართვა-რეგულირება;
- ვ) ეროზიის, მეწყერის, დვარცოფის, წყალმოვარდნის, წყალდიდობის, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, ნიადაგდაცვითი და ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების ჩატარება და ნაგებობების ექსპლუატაცია;
- ზ) მიწის კდასტრის ერთიან სისტემაში მელიორირებული მიწების კდასტრის მონაცემთა შემუშავება, ჰიდროგეოლოგიურ-მელიორაციული მომსახურება.

თავი V

წყლის რესურსებით და საირიგაციო წყალსაცავებით სარგებლობა

მუხლი 13. წყლის რესურსებით სარგებლობა

სარწყავა დდა სამოვრების გაწყლოვანებისათვის წყლის რესურსებით
სარგებლობაზე ლიცენზიის აღება, წყლის მართვა, რაციონალურად გამოყენება და
დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სარწყავა დდა სამოვრების
გაწყლოვანების სისტემების საწარმოებისათვის წყლის ბუნებრივი რესურსებით
სარგებლობისათვის გადასახადის განაკვეთი და გადახდის წესი განისაზღვრება
საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 14. საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავებით სარგებლობა

ერთობლივი გამოყენების სახელმწიფო დანიშნულების საირიგაციო
წყალსაცავებით სარგებლობა მათი უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის
აუცილებელი პირობების დაცვით ხორციელდება წყალმოსარგებლების მიერ,
პრიორიტეტულად საირიგაციო დანიშნულებით გამოსაყენებლად. ფიზიკური და
იურიდიული პირები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრების საირიგაციო
წყალსაცავში მისდევენ თევზის, წყლის სხვა ცხოველებისა და მცენარეთა
მოპოვებას ან გამოიმუშავენ ელექტროენერჯიას, ვალდებული არიან
წყალსაცავით, აგრეთვე საირიგაციო სისტემებიდან მიწოდებული წყლის მეორეული
სარგებლობის პირობები შეუთანხმონ პირველად წყალმომხმარებელს.

თავი VI

**სამელიორაციო სისტემებისა და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური
ნაგებობებისათვის მიწის გამოყოფა და გამოყენება**

მუხლი 15. მიწის გამოყოფა და გამოყენება

სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების
სისტემების და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის,
რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის და ამ ნაგებობების შენახვისა და
ექსპლუატაციისათვის განკუთვნილი მიწების მიწათმოწყობის წესით გამოყოფა
ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სახსრებითა შენეებული /მშენებარე/ აგრეთვე
პრივატიზებული სამელიორაციო და სამოვრების გაწყლოვანების სისტემებისა და
დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების შენახვისა და
ექსპლუატაციისათვის განკუთვნილი და მიწათმოწყობის წესით გამოყოფილი
მიწები მათემატლევატსეციალური საჭიროებისათვის, საქართველოს
კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემებისა და დამოუკიდებელი
ჰიდროტექნიკური ნაგებობების განსხვავების ფოლის პარამეტრები
განისაზღვრება მშენებლო ნორმებისა და წესის მიხედვით, საქართველოს
კანონმდებლობით.

4. წყალსაცავებისა და რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სანიტარიულ-
დაცვითი და ტექნიკური ზონებით სარგებლობა /გამოყენება/ ხდება საქართველოს
კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სამელიორაციო, სამოვრების გაწყლოვანების სისტემებისა და დამოუკიდებელი
ჰიდროტექნიკური ნაგებობებით დაკავებული მიწის მფლობელობის უფლების და
სერვიტუტების დადგენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის
შესაბამისად.

6. მიწის ნაკვეთი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სამელიორაციო, ეროზიის,
მეწყერის, დვარცოვის, წყალმოვარდნის და იადაგდაცვით-სარეკულტივაციო
ზონაში სამუშაოთა ჩასატარებლად გამოყოფილ ტერიტორიას, განსაზღვრული
დროით, სპეციალური სარგებლობისათვის გადაეცემა სამუშაოთა შემსრულებელ
ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII

**მელიორირებული მიწებისა და სამელიორაციო სისტემების
პასპორტიზაცია, ინვენტარიზაცია და მონიტორინგი**

მ უ ხ ლ ი 16. მ ე ლ ი ო რ ი რ ე ბ უ ლ ი მ ი წ ე ბ ი ს კ ა დ ა ს ტ რ ი

მ ე ლ ი ო რ ი რ ე ბ უ ლ ი მ ი წ ე ბ ი ს და მ ლ ა შ ე ბ ა ზ ე , ბ ი ც ო ბ ი ა ნ ო ბ ა ზ ე , მ ყ ა ვ ი ა ნ ო ბ ა ზ ე , და ჭ ა ო ბ ე ბ ა ზ ე . გ რ უ ნ ტ ი ს წ ყ ლ ე ბ ი ს დ ი ნ ა მ ი კ ა ზ ე და ს ხ ვ ა ჰ ი დ რ ო გ ე ო ლ ო გ ი უ რ - ს ა მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ზ ე რ ე ჟ ი მ უ ლ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ე ბ ს და მ ი წ ი ს კ ა დ ა ს ტ რ ი ს ე რ თ ი ა ნ ს ი ს ტ ე მ ა შ ი მ ე ლ ი ო რ ი რ ე ბ უ ლ ი მ ი წ ე ბ ი ს კ ა დ ა ს ტ რ ი ს მ ო ნ ა ც ე მ თ ა შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა და ს უ რ ს ა თ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს ა და წ ყ ა ლ თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ი წ ი ს მ ა რ თ ვ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი .

მ უ ხ ლ ი 17. ს ა მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო , ს ა მ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა წ ყ ლ ო ვ ა ნ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ე ბ ი ს ა და დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ჰ ი დ რ ო ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ე ბ ი ს პ ა ს პ ო რ ტ ი ზ ა ც ი ა , ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ზ ა ც ი ა და მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი

ს ა მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო , ს ა მ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა წ ყ ლ ო ვ ა ნ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ე ბ ი ს ა და დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ჰ ი დ რ ო ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ე ბ ი ს მ ი რ ი თ ა დ ი ფ ო ნ დ ი ს პ ა ს პ ო რ ტ ი ზ ა ც ი ა ს , ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ზ ა ც ი ა ს და მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა და ს უ რ ს ა თ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს ა და წ ყ ა ლ თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი .

თ ა ვ ი VIII

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა მ ი წ ე ბ ი ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს ს ფ ე რ ო შ ი

მ უ ხ ლ ი 18. ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა მ ი წ ე ბ ი ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს ს ფ ე რ ო შ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი თ და დ გ ე ნ ი ლ ი წ ე ს ი თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ს ი მ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ხ ე ლ მ ე კ რ უ ლ ე ბ ე ბ ი ს ა და შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ე ბ ი ს და დ ე ბ ა ს , რ ა ტ ი ფ ი ც ი რ ე ბ ა ს , დ ე ნ ო ნ ს ა ც ი ა ს ა ნ მ ა თ ა ნ შ ე ე რ თ ე ბ ა ს , რ ო მ ლ ე ბ ი ც ა რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ე ნ მ ი წ ე ბ ი ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს ს ფ ე რ ო შ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ხ ვ ა ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ თ ა ნ და ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ თ ა ნ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ს .

თ ა ვ ი IX

პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა მ ი წ ე ბ ი ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს

მ უ ხ ლ ი 19. პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა მ ი წ ე ბ ი ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს

ა მ კ ა ნ ო ნ ი ს მ ო თ ო ვ ნ ა თ ა და რ ღ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა გ ა ნ ი ს ა ზ დ ვ რ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი თ .

კ ა რ ი III

და ს კ ვ ნ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თ ა ვ ი X

და ს კ ვ ნ ი თ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

მ უ ხ ლ ი 20. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი ა ქ ტ ე ბ ი ს მ ი წ ე ბ ი ს მ ე ლ ი ო რ ა ც ი ო ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ თ ა ნ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა შ ი მ ო ყ ვ ა ნ ა

ა მ კ ა ნ ო ნ ი ს ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ო მ ე ნ ტ ი დ ა ნ მ ა ლ ა და კ ა რ გ უ ლ ა დ ი ქ ნ ე ს ც ნ ო ბ ი ლ ი :

ა) ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჰ ო ს 1962 წ ლ ი ს 27 დ ე კ ე მ ბ რ ი ს 846 და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა " ი მ მ ი წ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ , რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ წ ყ ა ლ თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ე ბ ს ა და ს ხ ვ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ს ე მ ლ ე ვ ა თ ს პ ე ც ი ა ლ ო რ ი ს ა ჰ ი რ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს "(ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ო ქ მ ე დ ი კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი , 1980 წ .ტ .7);

ბ)საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 მარტის 111 დადგენილებით დამტკიცებული დებულება "ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ტყესაცავი ნარგავების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რემონტის წესის შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

გ) "ზუნების დაცვის გამაღვირვებლისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 მაისის 352 დადგენილების მე-3 პუნქტი (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

დ)საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 19 მაისის 324 დადგენილება "მშენებლობა და მთავრებული სარწყავი და საშრობის სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საქსპლუატაციოდ მიმდები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

ე)საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 28 ოქტომბრის 659 დადგენილება რესპუბლიკაში მიმდებარე მელიორაციის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

ვ)საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის 382 დადგენილება "1976 წელს რწყვის სეზონისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მზადყოფნის შემოწმება -დათვლიერების შედეგების შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

ზ)საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 ივნისის 398 დადგენილება "წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

თ)საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 28 დეკემბრის 900 დადგენილება "სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და წარმოებასთან მიისაკავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

ი)საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 ივნისის 479 დადგენილება "კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეოათვისების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

კ)საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 დეკემბრის 805 დადგენილება "კოლხეთის დაბლობზე მოწყობილი შიდასამეურნეოსამელიორაციოქსელისა და გზების მდგომარეობის და მათი მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7);

ლ)საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 დეკემბრის 843 დადგენილება "საქართველოს სსრ წყალსამეურნეო ორგანიზაციების ჰიდრომელიორაციისა და წყალსამეურნეოსამუშაოთა მექანიზაციის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, 1980 წ.ტ.7).

მ უხ ლ ი 21. კ ა ნ ო ნ ი ს ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა .

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა მ ე .

თ ბ ი ლ ი ს ი ,

1997 წლის 16 ოქტომბერი .

„მიწების მელიორაციის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლის:

ა) მე-15 პუნქტს სიტყვების „და დამოუკიდებელი რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „(სამელიორაციო ინფრასტრუქტურა)“;

ბ) მე-16 პუნქტს სიტყვების „ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ლოკალური სისტემა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „(სამელიორაციო ინფრასტრუქტურა)“.

გ) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. სამელიორაციო ასოციაცია - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აქტით შექმნილი, პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (საჯარო სამართლის კორპორაცია). სამელიორაციო ასოციაციებია:

ა) წყალმომხმარებელთა ასოციაცია, რომელიც იქმნება ირიგაციის ან/და საძოვრების გაწყლოვანების სისტემების ზონაში არსებული მიწის მფლობელთა მიერ;

ბ) დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაცია, რომელიც იქმნება დრენაჟის სისტემების ზონაში არსებული მიწის მფლობელთა მიერ.“

დ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. ასოციაციის მომსახურების ტერიტორია - ასოციაციის წევრთა მიერ განსაზღვრული მელიორირებული მიწის ფართობი, რომელიც უნდა მოიცავდეს ერთ ჰიდროტექნიკურ ერთეულს მაინც“.

ე) მე-19 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს სიტყვის „ნაგებობები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან/და ლოკალური სისტემები“;

ვ) მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. გამგეობა - ასოციაციის მმართველი და წევრთა კრების წინაშე პასუხისმგებელი ორგანო; გამგეობას ირჩევენ წევრთა კრებაზე ასოციაციის წევრთაგან არა უმეტეს 4 წლის ვადით, არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით, რომელთაც არა აქვთ დავალიანება ასოციაციის მიმართ. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარეს ირჩევენ გამგეობის წევრები თავიანთ წევრთაგან და იგი წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.“

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამელიორაციო ასოციაციას დაფუძნებიდან ორი კვირის ვადაში უვადო უზუფრუქტის ხელშეკრულებით უსასყიდლოდ გადაეცემა მისი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა.“

3. მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამელიორაციო სისტემებით და ჰიდროტექნიკური ნაგებობებით სარგებლობის (გამოყენების) პირობები“.

4. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამელიორაციო ასოციაციების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯების დაფარვა ხდება ასოციაციის წევრების და არაწევრების მიერ გადახდილი სამელიორაციო მომსახურების საფასურიდან და საწევრო შენატანებიდან.“

5. მე-12 მუხლის:

ა) პირველი წინადადებიდან და მე-16-17 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მეშვეობით“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა, უფასო კონსულტაციების გაწევა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.“;

გ) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-12¹ მუხლის:

ა) პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასოციაციის დაფუძნება, წყლის მართვისა და სამელიორაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ხდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აქტით. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო სამელიორაციო ასოციაციის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის დამფუძნებელთა განცხადების მიღებიდან ორი კვირის ვადაში. დაფუძნებაზე უარი უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. უარის გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მფლობელი (მესაკუთრე, მოიჯარე ან სხვა) ფიზიკური და იურიდიული პირი. ასოციაციაში გაწევრიანება უსასყიდლოა. მისი დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები სარგებლობენ თანაბარი სტატუსით. ასოციაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა ასოციაციის წევრთა კრება.“.

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოსთან და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციის შესაბამის რაიონულ სამსახურთან შეთანხმებული ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის რუკა (სიტუაციური გეგმა), საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის რაიონულ სამსახურთან შეთანხმებული ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებულ მიწის მფლობელთა სია და ინფორმაცია დაკავებული ფართობის შესახებ. მომსახურების ტერიტორიის საზღვრები თანხმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოსთან (ჰიდროტექნიკური ერთეულის მდებარეობის მიხედვით), რომელსაც წარედგინება გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, ამ კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ადგილობრივი მმართველობის ორგანო 10 დღის ვადაში ათანხმებს მომსახურების ტერიტორიის საზღვრებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის რაიონულ სამსახურებთან და განცხადების მიღებიდან 20 დღის ვადაში იღებს შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას. შეთანხმებაზე უარი უნდა დასაბუთდეს წერილობით და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. შეთანხმებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის საზღვრების შესათანხმებლად რამდენიმე მოთხოვნის არსებობისას (რომლებშიც ერთი და იგივე ჰიდროტექნიკური ერთეული ფიგურირებს) გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია წარდგენილ იქნეს ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის ყოველ ჰიდროტექნიკურ ერთეულზე მიწის მფლობელთა საერთო რაოდენობის მინიმუმ 51 პროცენტის (რომლებიც ფლობენ ტერიტორიის არანაკლებ 51 პროცენტს) წერილობითი თანხმობა ასოციაციის დაფუძნებასა და მასში გაწევრიანებაზე.“.

7. 12² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12². სამელიორაციო ასოციაციის საქმიანობა და მართვა

1. წყლის მართვისა და სამელიორაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სამელიორაციო ასოციაციის საქმიანობის საგანია:

ა) ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებულ მიწის მფლობელთა ასოციაციაში მაქსიმალური ოდენობით გაწევრიანება, ასოციაციის წევრთა უპირატესი მომსახურება, ხოლო არაწევრთა ზელშეკრულების საფუძველზე მომსახურება;

ბ) სახელმწიფო დანიშნულების სარწყავი ან/და საძოვრების გაწყლოვანების სისტემებით წყალგანაწილების კვანძში მიწოდებული წყლის მიღება-აღრიცხვა და მიწის მფლობელთა შორის რაციონალურად განაწილება-აღრიცხვა, მომსახურების საფასურის ამოღება და წყალმიწოდებელ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორება;

გ) ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება (ხელახლა აღჭურვა-რეაბილიტაცია), მშენებლობა, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და დაცვა;

დ) ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული მიწების მელიორაციული მდგომარეობის შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და სავარგულების მაღალინტენსიური გამოყენების მიზნით სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება.

2. გამგეობის მოვალეობანია:

ა) ასოციაციის წევრთა მფლობელობაში არსებული მელიორირებული მიწების რეესტრის წარმოება;

ბ) ასოციაციის მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკური, საფინანსო, საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზება და შესრულების უზრუნველყოფა, ანგარიშების შედგენა, ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წევრთა კრებაზე განხილვა;

გ) უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული შიდასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სარწყავი, დამშრობი და გაწყლოვანების ქსელის, მარტივი ტიპის დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, სატუმბი სადგურების, ჭაბურღილებისა და ლოკალური სისტემების მოვლა-შენახვისა და საექსპლუატაციო ღონისძიებების ხარჯების განსაზღვრა და ტერიტორიულ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად მათი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში წარდგენა;

დ) თესვის, წყალსარგებლობისა და წყალგანაწილების კალენდარული გეგმა-განრიგის, ასოციაციის მომსახურებით მოსარგებლეთა სიის შედგენა (უპირატესი მომსახურების მოსარგებლეთა გათვალისწინებით) და წევრთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა, მომდევნო ჯერადობის რწყვის დაწყებამდე დავალიანების არმქონე მიწის მფლობელის (წევრის და არაწევრის) მოთხოვნის დაკმაყოფილება წყლის მიწოდებაზე;

ე) ასოციაციის წევრებისათვის სამელიორაციო მომსახურების საცალო ტარიფის, ხოლო არაწევრებისათვის სახელშეკრულებო საფასურის (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საცალო ტარიფის ორმაგ ოდენობას) განსაზღვრა და წევრთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) სხვა საქმიანობა, რომელიც არ შედის წევრთა კრების ფუნქციებში.

8. მე-12³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს სიტყვების „წევრობის შემთხვევაში ფლობდეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მინიმუმ ერთ ხმას და“, ხოლო „დ“ ქვეპუნქტს სიტყვების „ისარგებლოს უპირატესი მომსახურებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „წევრთა მეათედის წერილობითი თანხმობის საფუძველზე“.

9. მე-12⁵ მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-2³ პუნქტები.

10. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის IX¹ თავი და 19¹ მუხლი:

„თავი IX¹

გარდამავალი დებულება

მუხლი 19¹. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები

ნორმატიული აქტი

სამელიორაციო ასოციაციების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ შეიმუშაოს ნორმატიული აქტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამელიორაციო ასოციაციების სახელმწიფო კონტროლის ფორმა და ფარგლები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ

შევარდნაძე.

თბილისი,
2001 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N44, 11.11.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სამელიორაციო ასოციაციებზე“.

2. მე-4 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი დაიწყოს სიტყვებით „მელიორირებული მიწებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღების მიზნით“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ხელი შეუწყოს სამელიორაციო ასოციაციების დაფუძნებასა და მათ ეფექტიან ფუნქციონირებას“.

3. მე-5 მუხლის:

ა) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. სამელიორაციო ასოციაცია - საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ამ კანონის შესაბამისად ნებაყოფლობით შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირი. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ირიგაციის, დრენაჟისა და სამოვრების გაწყოლოვანების მომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ფლობს მიწის ნაკვეთს ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე. ასოციაციაში გაწევრიანება არ შეიძლება იყოს ფასიანი. ასოციაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები ერთნაირი სტატუსით სარგებლობენ. ასოციაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა წევრთა კრება. სამელიორაციო ასოციაციებია:

ა) წყალმომხმარებელთა ასოციაცია, რომელიც იქმნება ირიგაციის ან/და სამოვრების გაწყოლოვანების სისტემებზე;

ბ) დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაცია, რომელიც იქმნება დრენაჟის სისტემებზე“;

ბ) მე-18 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები „სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამელიორაციო ასოციაციისთვის“; ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები „სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამელიორაციო ასოციაციის“, ხოლო სიტყვა „კოოპერატივის“ - სიტყვით „ასოციაციის“;

გ) მე-18 პუნქტი ჩაითვალოს 21-ე პუნქტად, ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვები „საცალო ტარიფის დასამტკიცებლად აუცილებელია წევრთა არანაკლებ 2/3-ის გადაწყვეტილება“, ხოლო მე-18-20 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. ასოციაციის მომსახურების ტერიტორია - არანაკლებ ერთი ჰიდროტექნიკური ერთეულის ზონაში მოქცეული მელიორირებული მიწის ფართობი, რომლის საზღვრები დგინდება ასოციაციის დამფუძნებელთა მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ასოციაციის მომსახურების საზღვრებს ათანხმებს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის რაიონულ სამსახურთან, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მიმართვიდან 10 დღეში. ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის საზღვრების შესთანხმებლად რამოდენიმე მოთხოვნის (რომლებშიც ფიგურირებს ერთი და იგივე ჰიდროტექნიკური ერთეული) წარდგენისას, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია წარდგენილ იქნეს ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის ყოველ ჰიდროტექნიკურ ერთეულზე მიწის მფლობელთა საერთო რაოდენობის მინიმუმ 51 პროცენტის (რომლებიც ფლობენ ტერიტორიის არანაკლებ 51 პროცენტს) წერილობითი თანხმობა ასოციაციის

დაფუძნებასა და მასში გაწევრიანებაზე. ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის საზღვრებზე შეთანხმების მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა ასოციაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. გადაწყვეტილება შეთანხმების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს განცხადების მიღებიდან 20 დღეში, ხოლო შეთანხმებაზე უარი უნდა დასაბუთდეს წერილობით და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. გადაწყვეტილებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

19. ჰიდროტექნიკური ერთეული

ჰიდროტექნიკური ერთეულებია:

ა) ირიგაციის ან/და საძოვრების გაწყლოვანების სისტემის ჰიდროტექნიკური ერთეული - ირიგაციის ან/და საძოვრების გაწყლოვანების სისტემის მეორე და მესამე რიგის გამანაწილებელი და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები;

ბ) დრენაჟის სისტემის ჰიდროტექნიკური ერთეული - დრენაჟის სისტემის კოლექტორი, მესამე რიგის შემკრები არხი და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები.

20. ასოციაციის მმართველი და წევრთა კრების წინაშე პასუხისმგებელი ორგანოა გამგეობა. გამგეობა აირჩევა წევრთა კრებაზე ასოციაციის წევრთაგან, რომელთაც არ გააჩნიათ დავალიანება ასოციაციის მიმართ. გამგეობა აირჩევა არა უმეტეს 4 წლის ვადით, არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით. გამგეობის მოვალეობებია:

ა) ასოციაციის წევრთა მფლობელობაში არსებული მელიორირებული მიწის რეესტრის წარმოება;

ბ) ასოციაციის ძირითადი მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკური, საფინანსო, საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაცია, შესრულების უზრუნველყოფა, ანგარიშების შედგენა, ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წევრთა კრებაზე განხილვა;

გ) უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული შიდასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სარწყავი, დამშრობი და გაწყლოვანების ქსელის, მარტივი ტიპის დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, სატუმბი სადგურების, ჭაბურღილებისა და ლოკალური სისტემების მოვლა-შენახვისა და საექსპლუატაციო ღონისძიებების ხარჯების განსაზღვრა და მათი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში წარდგენა ტერიტორიულ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად;

დ) თესვის, წყალსარგებლობისა და წყალგანაწილების კალენდარული გემაგანრიგის, ასოციაციის მომსახურებით მოსარგებლეთა სიის შედგენა (უპირატესი მომსახურების მოსარგებლეთა გათვალისწინებით) და წევრთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა. გამგეობა ვალდებულია დააკმაყოფილოს დავალიანების არმქონე მიწის მფლობელის (წევრის და არაწევრის) მოთხოვნა წყლის მიწოდებაზე, მომდევნო ჯერადობის რწყვის დაწყებამდე;

ე) ასოციაციის წევრებისათვის სამელიორაციო მომსახურების საცალო ტარიფის, ხოლო არაწევრებისათვის სახელშეკრულებო საფასურის (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საცალო ტარიფის ორმაგ ოდენობას) განსაზღვრა და წევრთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა.”.

4. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „სარგებლობის უფლებით გადაეცემა სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივებს” შეიცვალოს სიტყვებით „უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაეცემა სამელიორაციო ასოციაციებს”.

5. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვები „სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივების” შეიცვალოს სიტყვებით „სამელიორაციო ასოციაციების”.

6. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივის” შეიცვალოს სიტყვებით „სამელიორაციო ასოციაციის”.

7. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ” და „ი” ქვეპუნქტები:

„თ) სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, მათთვის უფასო კონსულტაციების გაწევა და ზედამხედველობა ტექნიკურ საკითხებში;

ო) ასოციაციების რეგისტრაციის მასალების სისტემატიზაციის მიზნით წესდების, მომსახურების ტერიტორიის რუკის, მიწის მფლობელთა რაოდენობის, დაკავებული მიწის ფართობის, სამელიორაციო ფონდის პასპორტიზაციისა და საბალანსო ღირებულების ოდენობის აღრიცხვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს რაიონული (საქალაქო) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოებთან ერთად.

8. მე-12, მე-16-17 მუხლებში სიტყვები „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მეშვეობით“.

9. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის IV¹ თავი:

„თავი IV¹ სამელიორაციო ასოციაცია

მუხლი 12¹. სამელიორაციო ასოციაციის შექმნა

ასოციაციის დაფუძნება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ამ კანონის შესაბამისად წყლის მართვისა და სამელიორაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ასოციაციის დასაფუძნებლად აუცილებელია:

ა) ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე მიწის მფლობელთა ინფორმირება ასოციაციის ჩამოყალიბებაზე და წესდების გაცნობა;

ბ) არანაკლებ ხუთი დამფუძნებელი წევრი;

გ) ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე მიწის მფლობელთა საერთო რაოდენობის მინიმუმ 51 პროცენტის (რომლებიც ფლობენ ტერიტორიის არანაკლებ 51 პროცენტს) წერილობითი თანხმობა ასოციაციის დაფუძნებასა და მასში გაწევრიანებაზე;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებული ასოციაციის მომსახურების ტერიტორიის რუკა (სიტუაციური გეგმა), საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის რაიონულ სამსახურთან შეთანხმებული ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებულ მიწის მფლობელთა სია და მათ მიერ დაკავებული მიწის ფართობი.

მუხლი 12². წყლის მართვა და სამელიორაციო მომსახურება

წყლის მართვისა და სამელიორაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უნდა განხორციელდეს:

1. ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებულ მიწის მფლობელთა ასოციაციაში მაქსიმალური ოდენობით გაწევრიანება. ასოციაციის წევრთა უპირატესად მომსახურება, ხოლო არაწევრთა მომსახურება ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სახელმწიფო დანიშნულების სარწყავი ან/და საძოვრების გაწყლოვანების სისტემებით წყალგანაწილების კვანძში მიწოდებული წყლის მიღება-აღრიცხვა და მიწის მფლობელთა შორის რაციონალურად განაწილება-აღრიცხვა.

3. შიდასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სარწყავი, დამშრობი და გაწყლოვანების ქსელის, მარტივი ტიპის დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, სატუმბი სადგურების, ჭაბურღილებისა და ლოკალური სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (გადაიარაღება-რეაბილიტაცია), მშენებლობა, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და დაცვა.

4. ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული მიწების მელიორაციული მდგომარეობის შენარჩუნება, გაუმჯობესება, სავარგულების მაღალინტენსიური გამოყენება.

მუხლი 12³. ირიგაციის, დრენაჟისა და საძოვრების გაწყლოვანების მომხმარებლის უფლება-მოვალეობები

1. ირიგაციის, დრენაჟისა და საძოვრების გაწყლოვანების მომხმარებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ირიგაცია, დრენაჟი და საძოვრების გაწყლოვანება;

ბ) გახდეს ასოციაციის წევრი, თუ ფლობს მიწის ნაკვეთს ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთის თანამფლობელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი თანამფლობელი, რომელსაც დანარჩენი თანამფლობელები მიანიჭებენ ამგვარ უფლებამოსილებას;

გ) ასოციაციის წევრობის შემთხვევაში ფლობდეს ხმების საერთო რაოდენობის არა უმეტეს 20 პროცენტს და გადასცეს საკუთარი ხმის უფლება წარმომადგენელ პირს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს არა უმეტეს 10 წევრს;

დ) ასოციაციის წევრობის უფლების მოპოვების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობაში, მართვაში, ისარგებლოს უპირატესი მომსახურებით, გაეცნოს ასოციაციის საბუღალტრო და საფინანსო ჩანაწერებს, ტექნიკურ ანგარიშებს, ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებს;

ე) მოითხოვოს ასოციაციის საქმიანობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2. ირიგაციის, დრენაჟისა და საძოვრების გაწყლოვანების მომხმარებელთა მოვალეობებია:

ა) დაიცვას მის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამელიორაციო ქსელი და ჰიდროტექნიკური ნაგებობები, შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს მიწის მელიორაციული ფონი;

ბ) საშუალება მისცეს ასოციაციას, გამოიყენოს მის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შიდასასოფლო-სამეურნეო სარგებლობის (დანიშნულების) სამელიორაციო ქსელი და დამოუკიდებელი მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობები;

გ) გადაიხადოს საცალო ტარიფით დადგენილი საფასური ასოციაციის წევრთა კრების მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 12⁴. საბითუმო და საცალო ტარიფებით ანგარიშსწორება

1. სარწყავი წყლის მიწოდების ან ჭარბი წყლის მოცილების საპექტარო მომსახურებისათვის ასოციაცია პირველად წყალმოსარგებლესთან ანგარიშსწორებას აწარმოებს საბითუმო ტარიფით. გადაუხდელობის შემთხვევაში პირველადი წყალმოსარგებლე უფლებამოსილია შეუწყვიტოს ასოციაციას სარწყავი წყლის მიწოდება ან ჭარბი წყლის მოცილება და მოითხოვოს უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

2. ასოციაციის მომსახურების ნებისმიერი მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს საცალო ტარიფით დადგენილი საფასური ასოციაციის წევრთა კრების მიერ დადგენილ ვადაში.

3. ასოციაცია უფლებამოსილია დავალიანების შემთხვევაში ასოციაციის მომსახურების ნებისმიერ მოსარგებლეს შეუწყვიტოს სარწყავი წყლის მიწოდება ან ჭარბი წყლის მოცილება და მოითხოვოს უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 12⁵. ასოციაციის ქონება და ლიკვიდაცია

1. ასოციაციის ქონება იქმნება სამელიორაციო მომსახურებით ამონაგები თანხებით, შემოწირულობებითა და სხვა კანონიერი შემოსავლებით. ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნების განხორციელებას.

2. ასოციაცია უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან მიიღოს საკუთრებაში მისი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული შიდასასოფლო - სამეურნეო სარგებლობის (დანიშნულების) სამელიორაციო ქსელი, დამოუკიდებელი მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ლოკალური სისტემა.

3. ასოციაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ქონება რჩება სახელმწიფო (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს) საკუთრებაში.”

II ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ

შევარდნაძე.

თბილისი,

2000 წლის 7 მარტი.

„მიწების მელიორაციის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N44, 11.11.1997, გვ. 41) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2004 წლის 29 დეკემბერი.